

„არაბული გაზაფხული“ და ტერორიზმის ტრანსფორმაცია

ლაშა ხმაღაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ხმალაძე

20.06.2014

აბსტრაქტი

2010 წელს ტუნისში დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“ ტერორიზმის ისლამური ფენომენის ტრანსფორმაცია განაპირობა. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად შექმნილი დესტაბილიზაცია, ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა ისლამური ტერორიზმის გაძლიერებისთვის, რაც ამ უკანასკნელის წარმომადგენლებმა წარმატებით გამოიყენეს. დღეს, ისლამურ ტერორიზმს კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება გააჩნია, კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს და როგორც მინიმუმ, უახლოესი ათწლეულის განმავლობაშიც შეინარჩუნებს ამ პოზიციას.

ამ ნაშრომში, კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით განხილულია ისლამური ტერორიზმის ევოლუციის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი. თუმცა, მთავარ საკვლევ საგანს „არაბული გაზაფხული“ და ისლამურ ტერორიზმზე მისი გავლენა წარმოადგენს. კვლევის მთავარ დასაკვირვებელ საგანს ალ-ქაიდა წარმოადგენს, რადგან ის არის თანამედროვე ისლამური ტერორიზმის უმთავრესი სახე. კვლევა ეყრდნობა ტერორიზმის კვლევის ინსტრუმენტალურ და ორგანიზაციულ თეორიებს.

გარდა ძირითადი საკვლევი საგნისა, ნაშრომში განხილულია მისი თანმდევი საკითხებიც. პირველი ასეთი საკითხი არის ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია და ამ მოვლენის გავლენა ისლამურ ტერორიზმზე. ხოლო მეორე - ეს არის თანამედროვე ისლამური ტერორიზმის ერთ-ერთი თვისება: ბრძოლა უფრო მეტად პირადი და ორგანიზაციული სარგებლისთვის და არა იდეოლოგიური მიზნებისთვის. ნაშრომი ადგენს, რომ ბინ ლადენის ლიკვიდაციამ არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ისლამური ტერორიზმის ტრანსფორმაციაზე, რადგან უკანასკნელი წლების განმავლობაში ის იდეოლოგიური ლიდერი უფრო იყო, ვიდრე ოპერაციული ხელმძღვანელი. რაც შეეხება ბრძოლას პირადი და ორგანიზაციული სარგებლისთვის, ეს თვისება მართლაც ახასიათებს ისლამურ ტერორიზმს, რისი დამადასტურებელი ფაქტები ნაშრომშია მოყვანილი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ალ-ქაიდა, არაბული გაზაფხული, ისლამური ტერორიზმი.

Abstract

Revolutionary Demonstrations of Tunisia and its spill over in Arab countries resulted into the transformation of Terrorism's Islamic phenomenon. The Arab Spring with its destabilizing effects created favorable environment for the re-emergence of Islamic terrorism and the situation has been successfully utilized by adherents of Islamic terrorism. Today, Islamic terrorism is more powerful, poses more threat and will most likely maintain this position at least in coming decade.

This thesis reviews all major developmental stages of Islamic terrorism through applying the qualitative research methods. The main research question is the influence of Arab Spring on Islamic Terrorism. The research employs instrumental and organizational theories of research.

Apart from the major research subject, the thesis also reviews other issues related to Islamic terrorism. First of which, is the assassination of Osama Bin Laden and its influence on Islamic Terrorism. Second, the thesis will also focus on the contemporary characteristic of Islamic Terrorism – struggle for private and organizational benefit rather than the ideological causes. The research proves that the death of Osama Bin Laden did not have an existential influence on the transformation of Islamic Terrorism, since for the last few years he was more of an ideological than an operational leader. When it comes to the struggle for private and organizational benefit, the research argues for its strong presence in Islamic Terrorism by recalling facts and examples.

Key Words: Al-Qaeda, Arab Spring, Islamic Terrorism.